სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 აგვისტო 2025

N 461/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (გაყვანა/ექსპლუატაცია) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ს.კ. 204995176) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 9 ივნისს (წერილი N5691) წარმოდგენილია წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 321/ს; 19/06/2025) და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „დგ კონსალტინგის” და „KEC INTERNATIONAL”-ის მიერ.

2020 წლის 21 სექტემბერს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის'' ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (500 კვ.) „წყალტუბო-ახალციხის“ გაყვანასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-840), რომლის მიხედვით, ეგხ-ის სიგრძე შეადგენდა 103 კმ-ს და მოიცავდა წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს.

2024 წლის 8 იანვარს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 142/ს; 15/03/2024).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის საშუალებით დაგეგმილია 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ის დაკავშირება 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხე 500“-თან (ზიკილიის ქვესადგური). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დეტალური შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ტექნიკური სირთულეები, რომლის შესაბამისადაც ელექტროგადამცემი ხაზის გარკვეულ მონაკვეთებზე მოხდა ხაზის მდებარეობის ცვლილება: კერძოდ, აბასთუმნის მონაკვეთზე გათვალისწინებული იქნა დაბა აბასთუმნის

განვითარების სტრატეგიული გეგმა და მისი მზარდი საკურორტო და ტურისტული პოტენციალი. აღნიშნულ მონაკვეთზე დაგეგმილია ელექტროგადამცემი ხაზის გადაადგილება სამხრეთის მიმართულებით, აბასთუმნის ტურისტული ზონის საზღვრებს გარეთ; ცვლილებები განხორციელდა მდინარე რიონის კვეთის უბანზე; ცვლილებები შეეხო ასევე ელექტროგადამცემი ხაზის სხვა მონაკვეთებს, რელიეფის და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ეგხ-ის დერეფანში 235 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 286 ანძა და ეგხ-ის სიგრძე 103 კმ-დან, გაიზრდება 105.1 კმ-მდე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ეგხ-ის მონაკვეთი კვეთს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლები, ეგხ-ის ანძებიდან მდებარეობს დაახლოებით 80 მეტრის (სოფ. ვარხანი) დაშორებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ანალიზი, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის ტიპების, მარშრუტების და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშში განხილულია რიონის კვეთის უბანის ცვლილების 2 ალტერნატიული ვარიანტი, აბასთუმნის უბნის ცვლილების ფარგლებში ასევე განხილული იქნა ტრასის ცვლილების 2 ალტერნატიული ვარიანტი. ანგარიშში ასევე განხილულია საბაზისო პროექტის დროს მოცემული ეგხ-ის ალტერნატიული ვარიანტები. მდ. რიონის კვეთის უბანზე შერჩეულ ალტერნატიულ ვარიანტს უპირატესობა მიენიჭა იქთიოფაუნაზე ზემოქმედების გათვალისწინებით, ხოლო აბასთუმნის მონაკვეთზე საკურორტო ზონისა და დაცულ ტერიტორიების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით ორჯაჭვა 500 კვ ძაბვის ეგხ „წყალტუბო-ახალციხეს“ მშენებლობა დაგეგმილია ქ/ს „წყალტუბო 500“-ის (GPS კოორდინატებით X-342745.19, Y-4619354.73) და ქ/ს „ახალციხე 500“-ის (GPS კოორდინატებით: X-301935.58, Y-4683870.97) დაკავშირების მიზნით. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი განთავსებული იქნება ოთხი მუნიციპალიტეტის: წყალტუბოს, ვანის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. საჰაერო ეგხ-ის სიგრძე იქნება დაახლოებით 105.1 კმ, ანძების რაოდენობა - 286, ჯაჭვების - 2, ხოლო გამტარების რაოდენობა ერთი ფაზისათვის - 3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული საპროექტო ანძის GPS კოორდინატების და ტიპის შესახებ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, განსახლების გეგმის მიხედვით გასხვისების დაზუსტებულ დერეფანში (70 მ) ექცევა 496 დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, ასევე მართლზომიერ მფლობელობაში არსებული 471 მიწის ნაკვეთი, 7 საცხოვრებელი სახლი, 296 დამხმარე ნაგებობა. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის ნაკვეთებიდან 660 გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, ხოლო დანარჩენი - მრავალწლიანი კულტურებისა და საძოვრებისთვის. 7 საცხოვრებელი სახლებიდან ორი წარმოადგენს ძირითად საცხოვრებელს, ოთხი წარმოადგენს საზაფხულო/სააგარაკე სახლს, ხოლო ერთი - ძველი საცხოვრებელი სახლის ნანგრევებს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე ზემოქმედების საკითხი სრულად არის შესწავლილი და შეტანილია პროექტისათვის მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმაში.

როგორც უკვე აღინიშნა ეგხ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ქ/ს „წყალტუბო 500“-ის საპროექტო ტერიტორიაზე. AP1-იდან (წყალტუბოს ქვესადგური) AP 19-მდე (სოფ. ამაღლება) ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს ქუთაისი-ხონის საავტომობილო გზას და მიემართება სამხრეთის მიმართულებით, სოფ. მაღლაკის აღმოსავლეთ მხარეს. ქუთაისი-ხონის საავტომობილო გზის გადაკვეთის შემდგომ, ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის გადაკვეთამდე ეგხ-ის დერეფანი განთავსებული იქნება საძოვრებზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის გადაკვეთის შემდეგ ეგხ-ის დერეფანი მიემართება სოფელ მუხიანის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ გაივლის სოფელ ოფშკვითის და სოფელ პატრიკეთს შორის. სოფლების შემდეგ ეგხ-ის დერეფანი მიემართება მდინარე რიონის მიმართულებით. ავტომაგისტრალის კვეთიდან მდინარე რიონის გადაკვეთამდე ეგხ განთავსებული იქნება საძოვრებზე და სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების სავარგულებზე. მდ. რიონის გადაკვეთის შემდეგ, ეგხ-ის დერეფანი გადადის ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოფ. ამაღლებამდე ძირითადად გაივლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებზე. სოფ. ამაღლების ტერიტორიაზე ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს ხელოვნურად გაშენებული ტყის კორომს. სოფელ ინაშაურის შემდეგ სოფ. ძულუხამდე, ეგხ-ის დერეფანი ძირითადად განთავსებულია ტყით დაფარულ ტერიტორიებზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მოხდა საბაზისო პროექტთან შედარებით, რამდენიმე ანძის მცირედით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადაწევა დაახლოებით 150-250 მეტრის ფარგლებში. სოფ. ძულუხის მიმდებარე ტერიტორიაზე გავლის შემდგომ ეგხ გადის ფერდობის ზედა ნიშნულებზე არსებული სატყეო გზების სიახლოვეს და მიემართება მესხეთის ქედის წყალგამყოფ ნიშნულამდე, საიდანაც შემდგომ დაეშვება სამხრეთის მიმართულებით ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მოხდა დერეფნის დაზუსტება და ანძების განთავსების ადგილების ცვლილება. (AP 41 - AP 42) გაივლის საბაზისო პროექტში განხილული დერეფნის დასავლეთ საზღვარზე. შემდგომი მცირე ცვლილება შეეხება AP 46-ს ანძას, თუმცა ახალი დერეფანი არ გადის დერეფნის გარეთ. AP 46-დან AP 53-ის ჩათვლით მთლიანად მდებარეობს საბაზისო პროექტის გზშ-ის დოკუმენტში აღწერილ დერეფანში, და ცვლილებები ამ შემთხვევაში ითვალისწინებს მხოლოდ ანძების მიკროპოზიციონირებას. შემდგომი მონაკვეთი სადაც ხდება ხაზის მნიშვნელოვანი ცვლილება საბაზისო პროექტთან შედარებით წარმოადგენს აბასთუმნის მონაკვეთს (AP 57-დან AP 65-მდე). მაქსიმალური მანძილი კორექტირებულ და საბაზისო პროექტის დერეფნებს შორის შეადგენს 2.5 კმ-ს, ყველა სხვა უბანზე მანძილი ბევრად ნაკლებია. AP 57 ანძის შემდეგ, ელექტროგადამცემი ხაზის კორექტირებული დერეფანი გაივლის სოფლებს ფხერსა და ნაქურდევს შორის არსებულ მთის ფერდზე. AP 60 ანძა უახლოვდება სოფელ ხევაშენს, ელექტროგადამცემი ხაზი სოფლის დასახლებულ უბანს გვერდს უვლის სამხრეთიდან. ამ უბანზეც დერეფანი ფარავს სასოფლო სამეურნეო მიწებს. სოფ. ხევაშენის შემდეგ ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს აბასთუმნისკენ მიმავალ საავტომობილო გზას და გვერდს უვლის სოფელ ვარხანს. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი სოფელ ვარხანიდან სამხრეთით მდებარეობს და ყველაზე ახლოს მდგომი ორი საცხოვრებელი სახლიდან დაცილებულია დაახლოებით 80 მეტრით. სოფელ ვარხანის შემდეგ, ხაზი მიემართება ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით და გაივლის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ხოლო T62/5 ანძიდან დერეფანი განთავსდება დაბალი ბუჩქნარით დაფარულ ზონაში. AP 63-დან AP 65-მდე დერეფანი კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ გადაიხრება და დასავლეთიდან გვერდს აუვლის სოფელ ქიქინეთს. ელექტროგადამცემი ხაზის შემდგომი მონაკვეთი მოიცავს მონაკვეთს სოფ. კიკინეთიდან ახალციხე 500 კვ ქვესადგურამდე (ზიკილიის ქვესადგური), რომელიც მდებარეობს სოფელ ზიკილიის მიმდებარედ. აღნიშნულ მონაკვეთზე დაზუსტებულ პროექტში შესული ცვლილებები მინიმალურია. ეგხ გაივლის ასევე სოფელ ქარათუბნის ჩრდილოეთით, გვერდ აუვლის სოფელ ელიაწმინდასა და ჭვინთას. მონაკვეთი ძირითადად გადის საძოვრებზე და სასოფლო სამეურნეო მიწებზე. AP 72 ანძიდან, AP 74 ანძამდე ხაზის საბაზისო პროექტსა და დაზუსტებულ დერეფანს შორის მანძილი არის დაახლოებით 100 მეტრი. AP 82 ანძის შემდეგ განხორციელდა დერეფნის ცვლილება ქვესადგურში შესვლის ოპტიმიზაციის გამო. დაზუსტებული პროექტის მიხედვით დერეფანმა გადაინაცვლა ჩრდილოეთის მიმართულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საყრდენი ანძის მონტაჟისთვის გამოყენებული იქნება 5 ტიპის ანძა - შუალედური (A(B)-NS), მცირე დატვირთვის (A(B)-LC და A(B)-LA), საშუალო დატვირთვის (A(B)-MA) და მძიმე დატვირთვის კუთხური ან პორტალური (A(B)-DE). ეგხ-ის ძაბვის ნომინალური სიხშირე - 50 ჰც, პიკური მნიშვნელობის სტანდარტული იმპულსური ძაბვა, რომელიც უძლებს მეხის დაცემას 1550 კვ; პიკური მნიშვნელობის სტანდარტული საკომუტაციო იმპულსი, რომელიც უძლებს მეხის დაცემას 1175 კვ. ანძებს შორის დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 400 მეტრს, თუმცა რელიეფის შესაბამისად თითოეული ანძისთვის განისაზღვრება შესაბამისი მანძილი. პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება შესაბამისი ტიპის იზოლატორის ერთჯაჭვიანი დამჭერი გირლანდა, ხოლო გზის გადაკვეთის მონაკვეთებში გამოყენებული იქნება იზოლატორის ორჯაჭვიანი დამჭერი გირლანდა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის მთელ დერეფანში უპირატესად გამოყენებული იქნება ფილა-

საკვამურის ან წაკვეთილი პირამიდის ტიპის საძირკვლები. ყველა ტიპის საძირკვლების ქვეშ ფსკერის მოსაწყობად პროექტი ითვალისწინებს ღორღის ან ხრეშის მოწყობას.

გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, სამშენებლო მოედნებამდე ძირითადად მიდის არსებული გზები, რომლებსაც ჩაუტარდება რეაბილიტაცია (იქ, სადაც ამის საჭიროება იქნება). თუმცა გარკვეულ მონაკვეთებზე საჭირო იქნება, უკვე არსებული გზებიდან, ანძის განთავსების ტერიტორიებამდე ახალი გზების მოწყობა, რომელთა სიგანე საშუალოდ 4.5 მ იქნება. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მისასვლელი გზების მოწყობა საჭირო იქნება დაუსახლებელ ადგილებში, საპრასიის, ძულუხის თემებში და ასევე ვანის რაიონის საძოვრებზე, სადაც ეგხ-ის მონაკვეთი გადის შედარებით მაღალ ნიშნულებზე დაუსახლებელ ტერიტორიაზე. მისასვლელი გზების შედარებით დიდი მოცულობის სამუშაოები იქნება შესასრულებელი ეგხ-ის იმ მონაკვეთზე, რომელიც გაივლის მესხეთის ქედის მაღალ ნიშნულებზე. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი იქნება დაახლოებით 60-70 მონაკვეთზე, საშუალოდ, 300-500მ სიგრძის ახალი მისასვლელი გზები. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ძირითადად, გვხვდება არსებული გრუნტის გზები, სადაც დაახლოებით 10 მონაკვეთზე საჭირო იქნება 30-50 მ სიგრძის მისასვლელი გზების მოწყობა. სოფლების ფხეროს, ბენარის, ვარხანის, ელიაწმინდის, სვირისა და ფერსის თემის ფარგლებში განსათავსებელი საყრდენი ანძების სამშენებლო მოედნამდე, ძირითადად, მიდის არსებული გზები, თუმცა მაინც საჭირო იქნება მცირე სიგრძის მისასვლელი გზების მოწყობა, ხოლო არსებულ გზებს ჩაუტარდება მცირე მასშტაბის რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, მოსაწყობი იქნება დაახლოებით 130-140 კმ ახალი გზები. დაზუსტებული პროექტის მიხედვით მდინარე რიონის კვეთაზე, ტერიტორია სრულად დაფარულია არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, შესაბამისად პრაქტიკულად მთელი ტერიტორიაზე არსებობს მისასვლელი გზები. აბასთუმნის შემოვლითი მონაკვეთი ასევე გადის ძირითადად ათვისებულ ან წარსულში სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენებულ ტერიტორიებზე, სადაც პრაქტიკულად ყველა ნაკვეთამდე გაყვანილი იყო სასოფლო-სამეურნეო გზები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად ახალი მისასვლელი გზები იქნება, კარგად დატკეპნილი და სათანადოდ შევსებული. ხოლო საჭიროების შემთხვევაში საპროექტო გზები უზრუნველყოფილი იქნება სათანადო დრენაჟით გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის პერიოდში, საყრდენი ანძების საძირკვლებისთვის თხრილების მოწყობის და ახალი გზების გაყვანის სამუშაოების შესრულების დროს, ადგილი ექნება ფუჭი ქანების წარმოქმნას. გრუნტის დროებითი დასაწყობება მოხდება თითოეული ანძის განთავსების ტერიტორიის და გაყვანილი გზების მიმდებარედ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, თითოეული საყრდენი ანძის განთავსების ტერიტორიაზე მოხსნილი გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრილებისთვის. ხოლო მისასვლელი გზების დერეფანში მოხსნილი გრუნტი გამოყენებული იქნება მისასვლელი გზების ვაკისების მოსასწორებლად. ანგარიშში მოცემულია გრუნტის დროებითი განთავსების პირობების შესახებ, რათა გამოირიცხოს გრუნტების წარეცხვა ან გაბნევა პროექტის დერეფნის გარეთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტი არ ითვალისწინებს ნამეტი ფუჭი გრუნტის წარმოქმნას და შესაბამისად ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობას.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის სამშენებლო ეტაპებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 წელი. მშენებლობაში დასაქმებულთა მიახლოებითი რაოდენობა იქნება 100-125 ადამიანი, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეგხ-ის სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფისათვის სამშენებლო ბანაკების მოწყობა საჭირო არ არის. სამშენებლო სამუშაოების მომსახურებისთვის გამოყენებული იქნება 2 სასაწყობე უბანი, რომელთაგან ერთი განლაგდება ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეორე ახალციხის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ობიექტების ფუნქციებში შედის სამშენებლო ჯგუფის უზრუნველყოფა ოფისებით, ტექნიკის გასაჩერებელი და მომსახურების ადგილებით, სამშენებლო მასალების, ანძების, ელექტროსადენების, იზოლატორებისა და სხვა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფა, ასევე ტერიტორიაზე განთავსდება ნარჩენების დროებითი დასაწყობების

ადგილები და საჭირო ინფრასტრუქტურული ელემენტები. პირველი სამშენებლო მასალების დასაწყობების ტერიტორიად შერჩეულია ქალაქი ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე, შერჩეული ტერიტორიის ფართობია 20310 $მ^2$ (ს.კ. 31.01.24.174). ტერიტორია წარსულში გამოიყენებოდა ანალოგიური ტიპის სასაწყობო დანიშნულებით. ადგილზე არსებობს საჭირო კომუნიკაციები. მეორე სამშენებლო მასალების დასაწყობების ტერიტორიად შერჩეულია ახალციხის რაიონში სოფელ ფარეხის მიმდებარე ტერიტორია, რომლის ფართობია 19495 $მ^2$ (ს.კ. 62.15.53.758). პროექტის განხორციელების პროცესში მოხდება ტერიტორიის მოწესრიგება, შემოღობვა, დაცვის უზრუნველყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოებისთვის არ არის დაგეგმილი ბეტონის კვანძის ან სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარების მოწყობა, ბეტონისა და ინერტული მასალის მოწოდება განხორციელდება უკვე არსებული საწარმოებიდან.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მხოლოდ საპროექტო ეგხ-ის მშენებლობის და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ეტაპზე, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება მიწის სამუშაოებთან, ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ძრავებიდან აირების გაფრქვევასთან და მათი მოძრაობის შედეგად მტვრის გავრცელებასთან. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, ეგხ-ის ანძების და სადენების სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში. გამონაბოლქვის და მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მშენებლობის ეტაპზე გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: უზრუნველყოფილი იქნება მშრალ ამინდში მტვრის ემისიის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების (მაგ. საჭიროების შემთხვევაში დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზების და სამუშაო უბნების მორწყვა) გატარება, მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა, ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას მანქანების ძარის სათანადო გადაფარვა და სხვ.

ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ადგილი ექნება ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკური დანადგარები (ექსკავატორი, ტრაქტორი და ა.შ.). ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გამომწვევი წყაროებია ჩართული გადამცემი ხაზი სველ და ნოტიო ამინდში და სარემონტო სამუშაოები. ანგარიშის თანახმად, სადენებში გამავალი დენის მიერ გამოწვეული ხმაურის დონე 50 დბა-ზე ნაკლებია. ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის და ანძიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლების (დაახლოებით 100 მ) დაცილების გათვალისწინებით ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, ხმაურის გავრცელების დონეების შემცირების მიზნით, მშენებლობის ეტაპზე, გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მაგალითად: სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს ძირითადად 07:00-დან 19:00 სთ-მდე; უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა; ხმაურიანი სამუშაოების წარმოების დაწყებამდე მიმდებარედ არსებული მოსახლეობის გაფრთხილება და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მიცემა; გენერატორების და სხვა ხმაურიანი დანადგარ-მექანიზმების განლაგება მგრძნობიარე რეცეპტორებისგან (საცხოვრებელი სახლები) მოშორებით და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო მონაკვეთი გადის, როგორც გეომორფოლოგიურად, ასევე გეოლოგიურად განსხვავებულ პირობებში. იგი კვეთს რამდენიმე გეოტექტონიკური დარაიონების და ასევე, განსაზღვრულ კლიმატურ ზონებს. საკვლევი ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთი მიმართულებით მოიცავს შემდეგ ერთეულებს – გურია-იმერეთის მთათაშუა ზონას, აჭარა-თრიალეთის

ნაოჭა ზონას და სომხეთი-ახალქალაქის ვულკანურ ფარს. საპროექტო არეალების ეგზო-გეოდინამიკური პირობების შესწავლის მიზნით განხორციელდა საველე და კამერალური სამუშაოების კომპლექსი. საველე კვლევების ფარგლებში მოხდა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა: დადგინდა საზღვრები საინჟინრო-გეოლოგიურ ერთეულებს შორის; განისაზღვრა ეგზო-გეოდინამიკური პროცესების (მეწყრების, დახრამვების და სხვა) ადგილმდებარეობა; განხორციელდა პროექტისათვის საინტერესო უბნების ფოტოილუსტრირება. კამერალური სამუშაოების ფარგლებში მოხდა საკვლევი ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული გეოლოგიური მასალების მოძიება, შესწავლა და მათი ანალიზი. ანგარიშის თანახმად, გამონამუშევრების მიერ გადაკვეთილი მსგავსი შედგენილობის გრუნტებიდან ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ყველაზე დამახასიათებელ გრუნტზე. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შესწავლილი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი გრავიტაციულ წონასწორობაშია (სტაბილურია), თუმცა სხვადასხვა ნაწილში გვხვდება რელიეფში მკვეთრად გამოხატული მეწყრული და ეროზიული უბნები, მაღალი და საშუალო დახრილობის მქონე ფერდობებზე. აღნიშნული ეროზიული პროცესების უმეტესობა დაფიქსირებულია საკვლევი არეალის განაპირა უბნებში და მის კონტურს გარეთ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ანძების განთავსების ადგილები გრავიტაციულ წონასწორობაშია. ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. იმ ადგილებში, სადაც მაღალია ეროზიული და მეწყრული პროცესების განვითარების რისკი, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს წყალარინების არხების მოწყობასა და ფერდობის გამაგრების სამუშაოების ჩატარებას. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ანძების განთავსების უბნების მიმდებარედ, განსაკუთრებით სენსიტიურ უბნებზე განხორციელდება ტერიტორიების მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი მეწყრული და ეროზიული პროცესების გააქტიურების კერების დაფიქსირების და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე, ზედაპირული წყლების ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელია იმ ადგილებში, სადაც სამშენებლო სამუშაოები წარიმართება ზედაპირული წყლის ობიექტების სიახლოვეს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის ბუფერი კვეთს მდ. ოღასკურს, მდ. რიონს, მდ. სულორს, მდ. ძულუხურას, მდ. ოცხს, ასევე სხვა მცირე ზომის მდინარეებს და უსახელო ხევებს. მდინარე რიონის გადაკვეთისთვის დაზუსტებული პროექტით შერჩეულია ყველაზე ნაკლებად სენსიტიური უბანი, რომელიც გამოირჩევა კალაპოტის სტაბილურობით და ნაპირების წარეცხვისადმი მაღალი მდგრადობით. ანგარიშის თანახმად მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილი არ არის. ამასთან აღნიშნულია, რომ საპროექტო გზებით მდინარის კალაპოტების გადაკვეთა არ არის გათვალისწინებული.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიის საზღვრებში, ხოლო პროექტში შეტანილი ცვლილებით, ეგხ-ის ბუფერს და დაცულ ტერიტორიას შორის დაცილების მანძილი გაიზარდა და მდინარე რიონის კვეთის უბანზე შეადგენს 7 კმ-ს (აჯამეთის აღკვეთილი), ხოლო აბასთუმნის მონაკვეთზე 4 კმ-ს (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკამდე). ეგხ-ის დერეფანი არ კვეთს ზურმუხტის ქსელის მიღებულ უბანს, თუმცა გარკვეულ მონაკვეთზე პარალელურად მიუყვება ზურმუხტის ქსელის ("ბორჯომ-ხარაგაული 2 - GE0000056") საზღვარს (სამშენებლო დერეფნიდან უმოკლესი მანძილი 16 მ, ხოლო ეგხ-ს ღერძიდან - 60 მ). ეგხ კვეთს ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიებს (Adjara-Imereti GE015). აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშის ანგარიშს თან ახლავს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება, ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება. ზურმუხტის საიტზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებისა და პრევენციის მიზნით გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე და დაცულ ძეგლებზე (AP82 ანძის მიმდებარედ ფიქსირდება საფლავის ქვები, T68/5 ანძის მიმდებარედ დაფიქსირებულია კერამიკისა და ბათქაშის ფრაგმენტები, AP73-AP75 ანძებს შორის ფიქსირდება ქვების წყობის ნაშთი და ცალკეულ ადგილებში ფიქსირდება ქვების შეჯგუფება ქვაყრილების

სახით). სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ეხება საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიურად სენსიტიურ ადგილებში მიწის სამუშაოების წარმართვას არქეოლოგის ზედამხედველობით აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე შენიშვნები არ გააჩნია.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემულ N 10002134 (შპს "მშენებელი - იქს") და N 10002126 (შპს "ვაგი") ლიცენზიებს, ღაღვის გამოვლინების (ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები) და მასზე გაცემულ ლიცენზიის (N 10002653 - შპს ''გოლდ ლენდი'') კონტურს. წარმოდგენილი ტერიტორია ასევე კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილების სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონებს, რომლის საზღვარი უნდა გადიოდეს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავლებიდან არანაკლებ 15 მეტრში. ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. საპროექტო ტერიტორია ასევე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ახალციხის აქატის საბადოს, კვეთს ვარციხის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს. გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს საკითხის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი პროექტის განხორციელების პროცესში, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ასევე ის არასახიფათო ნარჩენები, რომელთა გატანა და განთავსება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე დაშვებულია, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო უბნებიდან გატანილი იქნება და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. ყველა სახის არასახიფათო ნარჩენი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია და ასევე სახიფათო ნარჩენები, დაგროვების შესაბამისად, შემდგომი აღდგენის ან განთავსების მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიებს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე მაღალი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად, მოძრაობა არ იქნება ინტენსიური და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი კვეთს ორ 110 კვ-იან ხაზს ვანის მუნიციპალიტეტში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე და ორ 220 კვ-იან ხაზს ,,დერჩსა" და ,,სათაფლიას". ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, საპროექტო ეგხ გაივლის „ახალციხე-თორთუმის" 400 კვიანი ელექტროგადამცემი ხაზის პარალელურად. აღნიშნული ხაზი იწყება „ახალციხე 500"-ის ქვესადგურიდან (ზიკილიის ქვესადგური) და საპროექტო ეგხ-ს პარალელურად გაივლის სოფლების ფერსასა და შუროს მიმდებარედ, თუმცა ისინი განლაგებულია მთის ფერდზე დაუსახლებელ ტერიტორიებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი არსებულ ეგხ-ებთან ერთობლიობაში შექმნის ხელოვნურ ბარიერს მაღალი სიჩქარით მფრენი ფრინველებისთვის, აუცილებელია შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინება, ფრინველების დამაფრთხობლების განთავსების ადგილების დაპროექტებისას, აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესში. ანგარიშის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე მანძილების გათვალისწინებით ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 8640164 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, წყალტუბო-ქუთაისის სატყეო უბნის ცხუნკურის სატყეოს (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე), ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ვანის სატყეოს კვარტალი N 29; 30; ზეინდარის სატყეოს კვარტალი N 27; სულორის სატყეოს კვარტალი N 18; 19; 36; 39; 44; 45; 47; 48; 52; 53; 54; 55; 60; 64; 65; 66 და ვანის-საირმის სატყეოს კვარტალი N 61; ადიგენის სატყეო უბნის ღაღვის სატყეოს კვარტალი N 3; კურცხანის სატყეოს კვარტალი N 5;9;10;35;40 და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს და წახანის სატყეოს კვარტალი N 36; ახალციხის სატყეო უბნის ელიაწმინდის სატყეოს კვარტალი N 15;16;17;18;19; სვირის სატყეოს კვარტალი N 28;35;36 და წინუბანის სატყეოს კვარტალი N 16;18; ჩოხატაურის სატყეო უბნის ზემო სურების სატყეოს კვარტალი N 62. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საპროექტო არეალი მოიცავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული ტაქსაციის შედეგები, რომლის მიხედვით, ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში აღრიცხული იქნა 7467 ხე, ჯამური მოცულობით 4377 $მ^3$. ელექტროგადამცემი ხაზი ასევე კვეთს სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ ხე-მცენარეებით დაფარულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა შეადგენს 11181 ერთეულს, ხოლო მერქნული რესურსის შეფასებული მოცულობა 1448 $მ^3$-ს.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ეგხ-ის და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშში, წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის შესახებ. გზშ-ის ანგარიში, ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებებისა და სახეობების შესახებ, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. მცენარეთა სახეობების იდენტიფიკაციასა და ნუსხების შედგენასთან ერთად, განისაზღვრა საფრთხის და ენდემურობის სტატუსები შესაბამისი სახეობებისთვის. კვლევის შედეგების მიხედვით, მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეული სახეობებიდან ფიქსირდება საქართველოს წითელი ნუსხის 4 სახეობა: უხრავი, კაკალი, წაბლი და იმერული მუხა. ტერიტორიაზე დაფიქსირდა გარკვეული რაოდენობის წითელი ნუსხით დაცული სახეობები, რომლების მოჭრა ექვემდებარება სპეციალურ ნებართვას. სულ აღრიცხული იქნა სხვადასხვა სახეობის 1300-ზე მეტი ინდივიდი, რომელთა ამოღება ბუნებრივი გარემოდან მოხდება საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მცენარეთა კონკრეტული სახეობების შესახებ, მათი გავრცელების კოორდინატების მითითებით. ასევე, წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატის მთლიანობაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

ანგარიშის თანახმად, საველე კვლევის და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად მთელ საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 41, ხელფრთიანების 18, ფრინველების 132, ქვეწარმავლების და ამფიბიების 25, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 1000-ზე მეტი სახეობა. ჩატარებული საველე კვლევის დროს საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყო 12 ძირითადი ჰაბიტატი, რომლებიც ეყრდნობა EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციას.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა 18 სახეობიდან საქართველოს წითელი ნუსხით დაცულია 3 სახეობა: სამხრეთული ცხვირნალა (Rhinolophus

euryale), გრძელყურა მღამიობი (Myotis bechsteinii) და ევროპული მაჩქათელა (Barbastella barbastellus). სამივე სახეობას აქვს მოწყვლადის - VU სტატუსი. IUCN-ის მიხედვით 6 დაცული სახეობაა დაფიქსირებული: წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული ფრინველების 132 სახეობიდან 14 შესულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“: მათ შორის 10 მოწყვლადის სტატუსით. ექსპლუატაციის ეტაპზე ხელფრთიანებსა და ფრინველებზე ზემოქმედება შესაძლოა გამოიხატოს ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებთან და სადენებთან შეჯახებით. გზშ-ში წარმოდგენილია ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები, როგორიცაა უსაფრთხოების ზომების დაცვა და მონიტორინგი. მაღალი სიკვდილიანობის ზონების იდენტიფიკაციის შემთხვევაში გათვალისწინებულია დამატებითი შემარბილებელი ზომები, მაგალითად, სადენების დამაფრთხობელი მოწყობილობებით აღჭურვა. ანგარიშის თანახმად დამაფრთხობელი/ამრიდი მოწყობილობები უნდა განთავსდეს ეგხ-ის მონაკვეთზე X=342225, Y=4619958-დან X=304648, Y=4647413-მდე. ასევე, სადენების მარკირება რეკომენდებულია დაახლოებით X=305563, Y=4658696 კოორდინატიდან X=303860, Y=4671269 კოორდინატამდე, რადგან ეგხ-ის აღნიშნული მონაკვეთი კვეთს მდ. რიონს და მის ნაპირებზე ვაკე ტერიტორიებს, სადაც, ფრინველები გადაადგილდებიან მაღალი სიჩქარით და მათი სადენებთან შეჯახების რისკი მაღალია. ანგარიშის თანახმად, სადენები ერთმანეთისგან დაშორებულია ისეთი მანძილით, რომელიც გამორიცხავს ფრინველთა არსებული სახეობების დაზიანებას ელექტროშოკით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს, ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია გაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ადიგენის, ვანის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 23 და 24 ივლისს სოფ. ბენარას, სოფ. საპრასიას, სოფ. ამაღლების და სოფ. პატრიკეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში, ასევე სოფ. ვარხანის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, შპს „დგ კონსალტინგის” და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმული კითხვები ეხებოდა ეგხ-ის ზემოქმედებას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, სოფლის მეურნეობაზე და სადენების ავარიულ დაზიანებას, ყურადღება ასევე გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „დგ კონსალტინგის” და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის დაგეგმილი საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და პირველი დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წყალტუბოს, ვანის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ორჯაჭვა

საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (გაყვანა/ექსპლუატაცია);

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;

3. **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:**

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

ბ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე ასახული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მაღალი სენსიტიურობის მქონე ტერიტორიებზე, მათ შორის იმ მონაკვეთებზე სადაც ეგხ კვეთს ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიებს (Adjara-Imereti GE015). ხოლო მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს და განხორციელდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

გ) მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ანძების განთავსების უბნების მიმდებარე ტერიტორიების მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, ხოლო გეოდინამიკური სიტუაციის შესაძლო გართულების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;

დ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ასევე, ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

ე) საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

ვ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ზ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს სასაწყობე ტერიტორიების დეტალური პროექტების (shp ფაილებთან და საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად) სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. სასაწყობე ტერიტორიების მოწყობა უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტების შესაბამისად;

თ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;

ი) სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შესაბამისად არქეოლოგიურად სენსიტიურ ადგილებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს არქეოლოგის ზედამხედველობით;

კ) ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს საქმიანობის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

ლ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;

მ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს პროექტის გავლენის ზონაში (ეგხ-ის დაცვის ზონა, საპროექტო გზა და სხვ.) მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმება;

ნ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ო) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას";
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/461-21-4-202508291224

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE